ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა
პოლიტიკურ მეცნიერებაში

თბილისი

2008-2009

საბაკალავრო პროგრამის დასახელება:

03.01 საბაკალავრო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებებში (ძირითადი სპეციალობა)

საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

სოციალური მეცნიერების ბაკალავრი/
ძირითადი სპეციალობა – პოლიტიკური მეცნიერება

საბაკალავრო პროგრამის აღწერა

პოლიტიკური მეცნიერება წარმოადგენს აკადემიურ და კვლევით დისციპლინას, რომელსაც საქმე აქვს პოლიტიკის თეორიასა და პრაქტიკასთან და რომელიც აღწერს და აანალიზებს პოლიტიკურ სისტემებსა და პოლიტიკურ ქცევას. პოლიტიკური მეცნიერების კვლევის სფერო საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს: პოლიტიკურ თეორიასა და ფილოსოფიას, შედარებით პოლიტიკას, ნაციონალურ სისტემებსა და კროს-ნაციონალურ პოლიტიკურ ანალიზს, პოლიტიკურ განვითარებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, საჯარო ადმინისტრირებას, ადმინისტრაციულ ქცევას, საჯარო პოლიტიკას და ა.შ. რაც შეეხება პოლიტიკური მეცნიერების თანამედროვე მიმართულებებსა და სუბ-დისციპლინებს, როგორც წესი, გამოიყოფა:

- **შედარებითი პოლიტიკა;**
- **ლოკალური სწავლებები;**
- **პოლიტიკური თეორია და ფილოსოფია;**
- **საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება;**
- **პოლიტიკური ქცევა და ფსიქოლოგია;**
- **ფორმალური თეორია და მეთოდოლოგია;**
- **პოლიტიკური ეკონომია;**

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის # 633 ბრძანებით.

პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა მომზადებულია უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვენენ ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) საერთაშორისო კონსულტანტები: სტივენ ინგლი (სტირლინგის უნივერსიტეტის პოლიტიკის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად ემერიტუს-პროფესორი) და პიტერ ვან ჰიუტენი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, პოლიტიკის დოქტორი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდატებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროგრამის შედგენისას დეპარტამენტის წევრები ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკური მეცნიერების ეროვნული ასოციაციების მიერ ევროპის კონფერენციაზე შემუშავებული რეკომენდაციებით, რომელიც ბოლონიის პროცესთან დაკავშირებით პოლიტიკური მეცნიერების სწავლებაში უმაღლეს სასწავლებლების სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს.

პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა ისეა აგებული, რომ სტუდენტებს სრულ წარმოდგენას უქმნის როგორც ზოგადად პოლიტიკური მეცნიერების, ისე პოლიტიკური მეცნიერების ცალკეული სუბ-დისციპლინების შესახებ, ასევე

უზრუნველყოფს საბაკალავრო სწავლების დონისათვის გათვალისწინებული კვლევითი უნარ-ჩვევებით.

მიზანი: პოლიტიკური მეცნიერების სწავლების მიზნები ბაკალავრიატში მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:

- სტუდენტებმა მიიღონ კარგი თეორიული მომზადება პოლიტიკურ მეცნიერებაში;
- ასწავლოს კრიტიკული აზროვნება;
- უზრუნველყოს პროფესიული კარიერის გასაკეთებლად აუცილებელი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით;
- ასწავლოს შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტები.

სწავლის შედეგი: პოლიტიკური მეცნიერების ბაკალავრი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ:

- ფლობს პოლიტიკური მეცნიერების ცნებით-კატეგორიულ აპარატს და მეთოდოლოგიას;
- იცნობს პოლიტიკური მეცნიერების ძირითად დარგებს;
- ფლობს პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების ინსტრუმენტებსა და ჩვევებს;
- ფლობს ემპირიული პოლიტიკური კვლევების მეთოდიკას და ტექნიკას;
- შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.

დასაქმების სფეროები: საბაკალავრო განათლების მიღების შედეგად ბაკალავრს პოლიტიკურ მეცნიერებაში შეუძლია:

- ჩაერთოს დარგის სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის პროცესში, ამ საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის გარეშე.
- შეეძლება იმუშაოს პოლიტიკურ ექსპერტად, ანალიტიკოსად მედიის სფეროში, მას ექნება აუცილებელი ცოდნა სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოებში ან პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აპარატში მუშაობისთვის.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ბაკალავრი მომზადებულია სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით. სწავლება ბაკალავრიატის დონეზე უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერებათა სპეციალისტების მომზადებას პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა (სემესტრი) (საორიენტაციოდ)

პოლიტიკური მეცნიერების როგორც ძირითადი სპეციალობის არჩევა, უმრავლეს შემთხვევაში, მოხდება არა შემთხვევით, არამედ პოლიტიკური მენციერებისადმი გარკვეული ინტერესის არსებობის შემთხვევაში იმ სტუდენტების მხრიდან, რომელებიც მანამდე ასრულებდნენ ან მაინორის პროგრამას, ან ირჩევდნენ პოლიტიკური მეცნიერების საგნებს თავისუფალი კრედიტების სახით. შესაბამისად, პოლიტიკური მეცნიერების როგორც ძირითადი სპეციალობის არჩევის საბოლოო ვადად პროგრამის ხელძღვანელობა საფუძვლად იღებს არა სავალდებულო პროგრამას (სწავლების I და II დონე), რომელიც ერთიანია როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სპეციალობის სტუდენტებისთვის, არამედ სწავლების III დონის მოთხოვნებსა და არჩევითი კურსების ფარგლებში დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობას. გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის მესამე დონეზე სწავლა სტუდენტს ავალდებულებს 70 კრედიტის დაგროვებას, პოლიტიკური მეცნიერების როგორც ძირითადი სპეციალობის არჩევა უნდა მოხდეს არაუგვიანეს V სემესტრისა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტუდენტს შეიძლება დარჩენილი ჰქონდეს კრედიტები

პოლიტიკური მეცნიერების სავალდებულო ბლოკიდან „პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები“ (სულ 40 ECTS). ამიტომ საბაკალავრო პროგრამის არჩევის შემდეგ რვა სემესტრის ფარგლებში საბაკალავრო ხარისხის მისაღებად, მას მინიმუმ სამი სემესტრი მაინც უნდა ჰქონდეს დარჩენილი. შესაბამისად, პოლიტიკური მეცნიერების როგორც ძირითადი სპეციალობის არჩევა არ უნდა ხდებოდეს მეხუთე სემესტრზე უფრო გვიან.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა (მოდულები, საგნები, კრედიტები)

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა: პოლიტიკური მეცნიერების სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილი თითოეული საგანი ხუთკრედიტიანია და გრძელდება ერთი სემესტრის განმავლობაში. ეს საგნები (სულ 32 საგანი) სწავლების სირთულის მიხედვით დაყოფილია I, II და III დონის საგნებად. პირველი დონის სწავლება გულისხმობს შესავალი კურსის გავლას პოლიტიკურ მეცნიერებაში. სწავლების II დონის ფარგლებში შეთავაზებულია 6 სავალდებულო კურსი, რომელიც გაერთიანებულია ბლოკში “პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები”. სწავლების I და II დონის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა საგანი სავალდებულოა როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სპეციალობის სტუდენტებისთვის. III დონის სწავლება გულისხმობს არჩევითი საგნების შეთავაზებას თემატური ბლოკების სახით წარმოდგენილი საგნების საფუძველზე. ასეთი სულ 6 ბლოკია. თითოეულის ფარგლებში პოლიტიკური მეცნიერების როგორც ძირითადი სპეციალობის სტუდენტს მოეთხოვება კრედიტების მინიმალური რაოდენობის დაგროვება (მინიმუმ 10 ECTS თითოეული ბლოკის ფარგლებში). გასათვალისწინებელია ისიც, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი არ სპეციალიზდება რომელიმე ბლოკის მიხედვით, არამედ უხდება ყველა ბლოკის მინიმალური მოთხოვნების შესრულება. აღნიშნული მოთხოვნა უზრუნველყოფს პოლიტიკური მეცნიერების ყველა სუბ-დისციპლინაში სტუდენტისთვის ზოგადი ცოდნისა და უნარების ათვისებას, რაც საბაკალავრო პროგრამის აუცილებელი მოთხოვნაა.

პოლიტიკური მეცნიერების სასწავლო პროგრამა ბაკალავრიატის დონეზე შედგება:

- ***<u>პოლიტიკური მეცნიერების შესავალი</u>*** კურსისგან, რომელიც სავალდებულო საფაკულტეტო საბაზისო სწავლების შესავალი კურსების ჩამონათვალშია მოცემული;
- ძირითადი სავალდებულო ბლოკისგან ***<u>პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები,</u>*** რომელიც 30 კრედიტის დაგროვებას გულისხმობს შემდეგ 6 საგანში: *პოლიტიკური კვლევის მეთოდები, შედარებითი პოლიტიკა, საქართველოს პოლიტიკური სისტემა, საჯარო პოლიტიკა, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, მედია და პოლიტიკა;* აღნიშნული კურსები წარმოადგენენ სწავლების III დონის ფარგლებში შეთავაზებული თემატური ბლოკების შესავალ კურსებს.
- *ექვსი სპეციალიზირებული/თემატური ბლოკისგან:* **ბლოკი I *<u>პოლიტიკური თეორია;</u>* ბლოკი II *<u>შედარებითი პოლიტიკა;</u>* ბლოკი III *<u>საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება;</u>* ბლოკი IV: *<u>რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა</u>* ბლოკი V: *<u>პოლიტიკური კულტურა და კომუნიკაციები;</u>* ბლოკი VI: *<u>მომზადება კვლევისათვის.</u>*** თითოეული ბლოკის ფარგლებში წარმოდგენილი არჩევითი კურსებიდან სტუდენტებისათვის სავალდებულოა ათ-ათი კრედიტის დაგროვება, შესაბამისად, 2 კურსის გავლა;
- *პროგრამის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობისგან (15 ECTS):* დარჩენილი ათი კრედიტი სტუდენტს შეუძლია დააგროვოს პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული რომელიმე ბლოკის ნებისმიერი არჩევითი საგნის საფუძველზე.

შესაბამისად, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთ-ერთი ბლოკის ფარგლებში მას სავალდებულო ორი საგნის გარდა გავლილი ჰქონდეს სამი, ან მეტი საგანი.

- ***<u>საბაკალავრო შრომის-დისერტაციისგან</u>*** (10 კრედიტი)

<u>პოლიტიკური მეცნიერების კურიკულუმი</u>

<u>პოლიტიკური მეცნიერება, როგორც ძირითადი სპეციალობა – მეიჯორი პოლიტიკურ მეცნიერებაში (120):</u>

სტუდენტი, რომელიც გადაწყვეტს პოლიტიკური მეცნიერების, როგორც ძირითადი სპეციალობის არჩევას, ვალდებულია შეასრულოს პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტის შემდეგი მოთხოვნები:

- **შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში** (5) +
- ***პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლების*** ბლოკის 6 საგნის გავლა (30) +
- ათ-ათი კრედიტი ექვსი ***სპეციალიზირებული ბლოკიდან*** (60) +
- 15 კრედიტის მოგროვება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალიზირებული ბლოკების ფარგლებში წარმოდგენილი საგნების საფუძველზე (15)+
- საბაკალავრო ნაშრომი (10)

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა
კრედიტების რაოდენობა (major): 120 (მათ შორის 5 კრედიტი საბაზისო სწავლების შესავალი კურსი)

	მოდული/კურსი	კურსის სტატუსი	სწავლების დონე	საშემოდგომო სემესტრი	საგაზაფხულო სემესტრი	კრედიტი
1.	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	სავალდებულო	I	X	X	5
2.	ძირითადი ბლოკი: *<u>პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები</u>*	სავალდებულო	II	X	X	35
3.	შედარებითი პოლიტიკა	სავალდებულო		X	X	5
4.	საქართველოს პოლიტიკური სისტემა	სავალდებულო		X	X	5
5.	საჯარო პოლიტიკა	სავალდებულო		X	X	5
6.	მსოფლიო პოლიტიკა	სავალდებულო		X	X	5
7.	პოლიტმოძღვრებათა ისტორია	სავალდებულო		X	X	5
8.	მედია და პოლიტიკა	სავალდებულო		X	X	5
	ბლოკი I *<u>პოლიტიკური თეორია</u>*	სავალდებულო/ არჩევითი	III			10
1.	პოლიტიკური იდეოლოგიები	არჩევითი		X		5
2.	პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები	არჩევითი			X	5
3.	პოლიტიკური მეცნიერების ისტორია: ძირითადი სკოლები და მიმართულებები (კლასიკური ტექსტები)	არჩევითი		X		5
4.	ქართული პოლიტიკური აზრი	არჩევითი			X	5
5.	სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი	არჩევითი		X		5
6.	ნაციონალიზმი როგორც პოლიტიკური იდეოლოგია	არჩევითი			X	5
	ბლოკი II *<u>შედარებითი პოლიტიკა</u>*	სავალდებულო/ არჩევითი				10
1.	დემოკრატიზაცია და ტრანზიცია	არჩევითი		X		5
2.	დასავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	არჩევითი			X	5
3.	აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	არჩევითი		X		5

4.	კავკასიის შედარებითი პოლიტიკა	არჩევითი			X	5
	ბლოკი III *<u>საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება</u>*	**სავალდებულო/ არჩევითი**				**10**
1.	ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა	არჩევითი		X		5
2.	საჯარო ადმინისტრირების თეორიები	არჩევითი			X	5
3.	საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლები	არჩევითი		X		5
4.	პოლიტიკური კორუფცია	არჩევითი			X	5
	ბლოკი IV *<u>რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა</u>*	**სავალდებულო/ არჩევითი**				**10**
1.	ევროკავშირის ინსტიტუტები	არჩევითი		X		5
2.	ევროპული იდენტობა და საქართველო	არჩევითი			X	5
3.	გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა	არჩევითი		X		5
4.	საერთაშორისო ორგანიზაციები	არჩევითი			X	5
	ბლოკი V *<u>პოლიტიკური კულტურა და კომუნიკაციები</u>*	**სავალდებულო/ არჩევითი**				**10**
1.	არჩევნები და საზოგადოება	არჩევითი		X		5
2.	პოლიტიკური კულტურა	არჩევითი			X	5
3.	პოლიტიკური კომუნიკაციები	არჩევითი		X		5
4.	გენდერი და პოლიტიკა	არჩევითი			X	5
	ბლოკი VI *<u>მომზადება კვლევისათვის</u>*	**სავალდებულო**				**10**
1.	პოლიტიკური კვლევის მეთოდები	სავალდებულო		X		5
2.	პოლიტიკური კვლევის ლაბორატორია – ემპირიული კვლევის მეთოდები (პრაქტიკუმი)	არჩევითი			X	5
3.	საბაკალავრო კვლევის დიზაინი (სემინარი)	არჩევითი		X		5
	<u>საბაკალავრო შრომა (დისერტაცია)</u>	**სავალდებულო**				**10**
	სულ					**120**

დამატებითი სპეციალობის პროგრამის დასახელება

საბაკალავრო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებებში (დამატებითი სპეციალობა)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა როგორც დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს უქმნის ზოგად წარმოდგენას როგორც პოლიტიკური მეცნიერების, ისე პოლიტიკური მეცნიერების ცალკეული სუბ-დისციპლინების შესახებ.

მიზანი: პოლიტიკური მეცნიერების სწავლების მიზნები ბაკალავრიატში მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: სტუდენტებს მისცეს კარგი საბაზისო თეორიული მომზადება პოლიტიკურ მეცნიერებაში; ასწავლოს კრიტიკული აზროვნება;

სწავლის შედეგი: პოლიტიკური მეცნიერების მაინორის კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდეგ საბაზისო დონეზე ფლობს პოლიტიკური მეცნიერების ცნებით-კატეგორიულ აპარატს და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.

დასაქმების სფეროები: მაინორის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ჩაერთოს სახელისუფლებო და არასამთავრობო სტრუქტურების საქმიანობაში დამხმარე პერსონალის სახით

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაინორის კურსდამთავრებული მომზადებულია სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით. სწავლება ბაკალავრიანტის დონეზე უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერებათა სპეციალისტების მომზადებას პრაქტიკული და საშუალო სკოლებში პედაგოგიური საქმიანობისათვის.

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობები: მაინორ პროგრამაზე მიღების განსაკუთრებული წინაპირობა, როგორც ასეთი, არ არსებობს, თუმცა, შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის შემთხვევაში, თუკი პოლიტიკური მეცნიერების დამატებით სპეციალობად არჩევის მსურველი ბევრი აღმოჩნდება, პროგრამის ხელმძღვანელობა უფლებას იტოვებს დააწესოს დამატებით სპეციალობაზე მიღების სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და პოლიტიკური მეცნიერების როგორც დამატებითი სპეციალობის არჩევის მსურველთაგან უპირატესობა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს მიანიჭოს.

პროგრამის სტრუქტურა (მოდულები, საგნები, კრედიტები)

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა: პოლიტიკური მეცნიერების სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილი თითოეული საგანი ხუთკრედიტიანია და გრძელდება ერთი სემესტრის განმავლობაში. ეს საგნები (სულ 32 საგანი) სწავლების სირთულის მიხედვით დაყოფილია I, II და III დონის საგნებად. პირველი დონის სწავლება გულისხმობს შესავალი კურსის გავლას პოლიტიკურ მეცნიერებაში. სწავლების II დონის ფარგლებში შემოთავაზებულია 6 სავალდებულო კურსი, რომელიც გაერთიანებულია ბლოკში "პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები". სწავლების I და II დონის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა საგანი სავალდებულოა დამატებითი სპეციალობის სტუდენტებისთვის. III დონის სწავლება გულისხმობს არჩევითი საგნების შეთავაზებას

თემატური ბლოკების სახით წარმოდგენილი საგნების საფუძველზე. სულ ასეთი 6 ბლოკია. III დონის არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან პოლიტიკური მეცნიერების როგორც დამატებითი სპეციალობის სტუდენტს მოეთხოვება 25 კრედიტის დაგროვება ანუ ხუთი III დონის საგნის წარმატებით ჩაბარება.

პოლიტიკური მეცნიერების სასწავლო პროგრამა ბაკალავრიატის დონეზე შედგება:

- ***<u>პოლიტიკური მეცნიერების შესავალი</u>*** კურსისგან, რომელიც სავალდებულო საფაკულტეტო საბაზისო სწავლების შესავალი კურსების ჩამონათვალშია მოცემული;
- ძირითადი სავალდებულო ბლოკისგან ***<u>პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები,</u>*** რომელიც 30 კრედიტის დაგროვებას გულისხმობს შემდეგ 6 საგანში: *პოლიტიკური კვლევის მეთოდები, შედარებითი პოლიტიკა, საქართველოს პოლიტიკური სისტემა, საჯარო პოლიტიკა, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, მედია და პოლიტიკა;* აღნიშნული კურსები წარმოადგენენ სწავლების III დონის ფარგლებში შეთავაზებული თემატური ბლოკების შესავალ კურსებს.
- *ექვსი სპეციალიზირებული/თემატური ბლოკისგან:* **ბლოკი I** ***<u>პოლიტიკური თეორია;</u>*** **ბლოკი II** ***<u>შედარებითი პოლიტიკა;</u>*** **ბლოკი III** ***<u>საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება;</u>*** **ბლოკი IV:** ***<u>რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა</u>*** **ბლოკი V:** ***<u>პოლიტიკური კულტურა და კომუნიკაციები;</u>*** **ბლოკი VI:** ***<u>მომზადება კვლევისათვის.</u>*** სტუდენტს მოეთხოვება 25 კრედიტის დაგროვება ანუ ხუთი III დონის საგნის წარმატებით ჩაბარება ამ ბლოკების ფარგლებში შეთავაზებული საგნებიდან.

<u>პოლიტიკური მეცნიერება, როგორც დამატებითი სპეციალობა – მაინორი პოლიტიკურ მეცნიერებაში (60):</u>

სტუდენტი, რომელიც გადაწყვეტს პოლიტიკური მეცნიერების, როგორც დამატებითი სპეციალობის არჩევას ვალდებულია შეასრულოს პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტის შემდეგი მოთხოვნები:

- **შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში** (5) +
- ***პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლების*** ბლოკის 6 საგნის გავლა (+30)
- შეთავაზებული ნებისმიერი **სპეციალიზირებული ბლოკის** მოთხოვნების შესრულება ან ამ ბლოკების ფარგლებში წარმოდგენილი საგნების საფუძველზე 25 კრედიტის დაგროვება (25)

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა
კრედიტების რაოდენობა (minor): 60 (მათ შორის 5 კრედიტი საბაზისო სწავლების შესავალი კურსი)

	მოდული/კურსი	კურსის სტატუსი	სწავლების დონე	საშემოდგომო სემესტრი	საგაზაფხულო სემესტრი	კრედიტი
9.	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	სავალდებულო	I	X	X	5
10.	ძირითადი ბლოკი: *<u>პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები</u>*	სავალდებულო	II	X	X	35
11.	შედარებითი პოლიტიკა	სავალდებულო		X	X	5
12.	საქართველოს პოლიტიკური სისტემა	სავალდებულო		X	X	5
13.	საჯარო პოლიტიკა	სავალდებულო		X	X	5
14.	მსოფლიო პოლიტიკა	სავალდებულო		X	X	5
15.	პოლიტმოძღვრებათა ისტორია	სავალდებულო		X	X	5
16.	მედია და პოლიტიკა	სავალდებულო		X	X	5
	ბლოკი I *<u>პოლიტიკური თეორია</u>*	სავალდებულო/ არჩევითი	III			10
7.	პოლიტიკური იდეოლოგიები	არჩევითი		X		5
8.	პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები	არჩევითი			X	5
9.	პოლიტიკური მეცნიერების ისტორია: ძირითადი სკოლები და მიმართულებები (კლასიკური ტექსტები)	არჩევითი		X		5
10.	ქართული პოლიტიკური აზრი	არჩევითი			X	5
11.	სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი	არჩევითი		X		5
12.	ნაციონალიზმი როგორც პოლიტიკური იდეოლოგია	არჩევითი			X	5
	ბლოკი II *<u>შედარებითი პოლიტიკა</u>*	სავალდებულო/				10

		არჩევითი				
5.	დემოკრატიზაცია და ტრანზიცია	არჩევითი		X		5
6.	დასავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	არჩევითი			X	5
7.	აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	არჩევითი		X		5
8.	კავკასიის შედარებითი პოლიტიკა	არჩევითი			X	5
	ბლოკი III *<u>საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება</u>*	**სავალდებულო/ არჩევითი**				**10**
5.	ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა	არჩევითი		X		5
6.	საჯარო ადმინისტრირების თეორიები	არჩევითი			X	5
7.	საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლები	არჩევითი		X		5
8.	პოლიტიკური კორუფცია	არჩევითი			X	5
	ბლოკი IV *<u>რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა</u>*	**სავალდებულო/ არჩევითი**				**10**
5.	ევროკავშირის ინსტიტუტები	არჩევითი		X		5
6.	ევროპული იდენტობა და საქართველო	არჩევითი			X	5
7.	გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა	არჩევითი		X		5
8.	საერთაშორისო ორგანიზაციები	არჩევითი			X	5
	ბლოკი V *<u>პოლიტიკური კულტურა და კომუნიკაციები</u>*	**სავალდებულო/ არჩევითი**				**10**
5.	არჩევნები და საზოგადოება	არჩევითი		X		5
6.	პოლიტიკური კულტურა	არჩევითი			X	5
7.	პოლიტიკური კომუნიკაციები	არჩევითი		X		5
8.	გენდერი და პოლიტიკა	არჩევითი			X	5
	ბლოკი VI *<u>მომზადება კვლევისათვის</u>*	**სავალდებულო**				**10**
4.	პოლიტიკური კვლევის მეთოდები	სავალდებულო		X		5
5.	პოლიტიკური კვლევის ლაბორატორია – ემპირიული კვლევის მეთოდები (პრაქტიკუმი)	არჩევითი			X	5
6.	საბაკალავრო კვლევის დიზაინი (სემინარი)	არჩევითი		X		5

	საბაკალავრო შრომა (დისერტაცია)	სავალდებულო				10
	სულ					120

სტუდენტებს საბნების სილაბუსების გაცნობა შეუძლიათ თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით (ადმინისტრაციული რეგისტრაციის შემდეგ, სახელის, გვარის, და პაროლის მითითებით):
http://sms.tsu.ge